



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/78

ქ. თბილისი

27 ოქტომბერი 2018

სტუ-თან თვითდაფინანსებითი „ტექნიკური გადამზადების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 ნოემბრის №01-05-04/315 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 27 ნოემბრის №01-06-02/14 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და BP-ს ერთობლივი პროექტის „საქართველოს ტექნიკური გადამზადების ცენტრის“ ბაზაზე შეიქმნას თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ტექნიკური გადამზადების“ საუნივერსიტეტო ცენტრი და დამტკიცდეს მისი დებულება;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გაბოკიძე